# ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

3 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 187-188 (10 601) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


...ჯონ კენედი თავის დროზე ამბობდა. ქვეყნის ძლიერება რაკეტებისა და ოლიმპიური ჩემპიონების რაოდენობით განისაზღვრებაო. შეიძლება მართალი იყო პრეზიდენტი, შეიძლება არა, ის კი აშკარაა, რომ ამ — ფრთიან გამოთქმაში ერთი უხერხულობაა — ოლიმპიურ ჩემპიონებსა და რაკეტებს საერთო არაფერი აქვთ საერთო. ოლიმპიური მოძრაობა, პირველ ყოვლისა, სამშვიდობო მოძრაობაა. ძველ საბერძნეთში ოლიმპიადების დროს მეომარი მხარეები დროებით ზავდებოდნენ — იარაღს გვერდზე გადადებდნენ ხოლმე და ერთად მიდიოდნენ ოლიმპიაში. კარგი იქნებოდა, ეს ძველი ტრადიცია აღგვედგინა დღესაც, როცა არ არის დღე და საათი, რომ მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ადამიანის სისხლი არ ილვრებოდეს. მოდით, ერთად ვიოცნებოთ იმ დროზე. უფრო სწორად — ერთად ვიბრძოლოთ იმ დროისათვის, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ძლიერება მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონთა რაოდენობით იქნება განსაზღვრული...

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

გათიშულ და შინააშლილობით დასუსტებულ ხებერძნეთს, როცა სხვა აღარაფერი დარჩენოდა, მოძმეთა დაზავებისათვის, ოლიმპიური თამაშები მოიგონა, რომლის დროსაც მშვიდობა ისადგურებდა ელადის მიწაზე, წყდებოდა ომი და შუღლი. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ათლეტები საასპარეზოდ მიეშურებოდნენ ოლიმპიაში, გამარჯვებულებს კი დაფნის გვირგვინითა და ზეთისხილის რტოთი აჯილდოებდნენ.

დღეს ისეთი ვითარებაა შექმნილი ჩვენს სამშობლოში, ამგვარი სამშვიდობო ღონისძიება დაგეგმილიც რომ არ გვქონოდა, უნდა გამოგვეგონებინა. მაგრამ ახლა, თითქოს განგებამ ინებაო, სრულიად ბუნებრივად, ყოველგვარი „გამოგონების" გარეშე გაჩნდა შესაძლებლობა, რომ სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები, ანტიკური ოლიმპიადების მსგავსად ეროვნული თანხმობის პირობად ვაქციოთ.

სამწუხაროდ, ბევრ სხვა პრობლემებთან ერთად, ჩნდება თბილისთან რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების დაპირისპირების ნიშნები, რაც უმძიმეს დანაშაულად მიგვაჩნია დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე, ერთ-ორ დღეში წამხდარ-გაფუჭებული საქმე შეიძლება ათწლეულებში ვეღარ გამოსწორდეს. ეს პროცესი, ეს მითქმა-მოთქმა, დაპირისპირებისკენ მიმავალი გზა დროზე თუ არ გადაიკეტა, აგორებული გუნდა ახლავე თუ არ შევაჩერეთ, შეიძლება აზვავდეს და ქვეშ დაიტანოს საერთო ეროვნული ინტერესები.

რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო, ცხადია, შევეძლო სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსთან შეთანხმებით, რომელთან ერთადაც ვატარებთ სრულიად საქართველოს სპორტულ თამაშებს. ფინალური ასპარეზობების ვადები გადაგვეწია. ეს ადვილი საქმეა, ყოველ შემთხვევაში, ასეთ „გადავადებებს" შეჩვეულნი ვართ და მაინცდამაინც არ გაგვაოცებდა. გაცილებით რთულია ფინალური თამაშების ისეთ სიტუაციაში ჩატარება, როცა ქართველს ქართველზე ხელი აღუმართავს, როცა დაიღვარა სისხლი, როცა საშიში გახდა შინიდან გარეთ გამოსვლა, როცა... როცა... როცა...

ახლა ჩაშლის პირზეა სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ფინალური ასპარეზობები, რომლის მომზადებას და ჩატარებას დიდი დრო და ენერგია ხმარდება. ამ ეტაპზე სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები ერთადერთი საშუალება იყო იმპერიული მარწუხებიდან თავდაღწეული ქართული სპორტისთვის, ერთადერთი და აუცილებელი. ჩვენი თამაშებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ოლიმპიურმა კომიტეტებმა, უცხოელმა სპეციალისტებმა, ჟურნალისტებმა, მათ შორის კატალონიის წარმომადგენლებმა, რომელთა დედაქალაქში — ბარსელონაში — გაისად ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ყველა, ვისაც გადაწყვეტილი ჰქონდა გვწვეოდა ფინალური ასპარეზობების დღეებში, ახლა ითხოვს დამატებით ვაცნობოთ, ჩატარდება თუ არა საქართველოს სპორტული დღესასწაული...
მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია.
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს ოლიმპიური მოძრაობის იდეალებიდან და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია, მოუწოდოს დაპირისპირებულ მხარეებს, ანტიკური ოლიმპიური ტრადიციის კვალად, თუნდაც დროებით, თუნდაც მხოლოდ თამაშების პერიოდში, უზრუნველყონ მშვიდობა და მოქალაქეთა უსაფრთხოება, რა თქმა უნდა, თუ ეს მანამდე არ მოხერხდა. თამაშების პერიოდში კი, 20-დღიან მშვიდ ატმოსფეროში, იქნებ გამოიძებნოს კონკრეტული გზა, რათა შეიარაღებული კონფრონტაცია ბოლოს და ბოლოს მოლაპარაკებით და ეროვნული თანხმობით შეიცვალოს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს მიაჩნია, რომ თამაშების ჩატარება-არჩატარება ამჯერად მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთა კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. იმედი გვაქვს, არ მოგვიხდება თამაშების გადადება და სწორედ ამ იმედით დაველოდებით 10 ოქტომბერს — სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ფინალურ ასპარეზობათა გახსნის დღეს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი.


საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

# დამტკიცდა სამინისტროს კოლეგია

**საქართველოს** რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ხელმძღვანელი ორგანოს — კოლეგიის შემადგენლობა: კ. ასათიანი — მინისტრი, მ. მნათობიშვილი — მინისტრის პირველი მოადგილე, ჯ. ბაგრატიონი, თ. გურგენიძე, ო. სიამაშვილი, ო. მიქაბერიძე — ყველა მინისტრის მოადგილე, ო. გოგიაშვილი — ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი, თ. ცერცვაძე — საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, თ. გაჩეჩილაძე — გაზეთ „ლელოს" რედაქტორი.

გათვალისწინებულია რეორგანიზაციის შემდეგ ცალკე განიხილონ კოლეგიის შემადგენლობაში აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლების საკითხი.

⊙✦⊙

## ძვირფასო მკითხველო!

„ლელოს" დღევანდელი ნომრის მესამე გვერდი აწყობილია კომპიუტერზე. თქვენ პირველად გეძლევათ შესაძლებლობა იხილოთ თუ როგორ გამოიყურება თანამედროვე ტექნიკის დახმარებით მომზადებული ჩვენი გაზეთის ერთი გვერდი. ახლო მომავალში „ლელო" ალბათ საერთოდ კომპიუტერზე აიწყობა. კომპიუტერული სისტემით რედაქციის აღჭურვის გარანტიას იძლევა ახალგაზრდული სამეცნიერო ცენტრი „ვიტა".

⊙✦⊙

## ჭვედა პარსკვლავი

**აშშ-ს** კალათბურთელთა ოლიმპიურ ნაკრებში, რომელიც 1992 წელს ბარსელონაში იასპარეზებს, შეყვანილია ნბა-ს ათი ვარსკვლავი, კონკრეტულად:

ლარი ბიორდი („ბოსტონი")
სკოტ პიპენი („ჩიკაგო")
მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო")
„მეჯიკ" ჯონსონი („ლეიკერსი")
დევიდ რობინსონი („სან-ანტონიო")
ჩარლზ ბარკლი (ფილადელფია-76")
კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი")
ჯო სტოკტონი („იუტა ჯაზი")
პატრიკ იუინგი („ნიუ-იორკ ნიკსი")
კრის მელოუნი („გოლდენ სტეიტი")

გუნდის დანარჩენ ორ წევრს მწვრთნელები გაისად, გაზაფხულზე, დაასახელებენ. ერთი მათგანი უსათუოდ მოყვარული უნდა იყოს.

## ტურნირები და შედეგები

● **ლვოვი.** მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე გათამაშდა 10 ტური (ჩვიდმეტიდან). ოქროს მედლის მოპოვების შანსს ჯერ-ჯერობით ექვსი მოჭადრაკე ინარჩუნებს. პირველ სამეულში კი არიან: სვეტლანა მატვეევა (ბიშკეკი) — 8 ქულა, ინგუნა ერნესტე (რიგა) — 7,5, ალისა გალიამოვა-ივანჩუკი — 7. სამ მონაწილეს აქვს 6-6 ქულა. ჯერჯერობით პარტია არ წაუგია ლიდერს, ერნესტემ კი ყველაზე მეტი შეხვედრა მოიგო — 7.

● **დონაუეშინგენი** (გერმანია). გრძელდება ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. 67,5 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ბულგარელმა ათლეტმა, ევროპის ჩემპიონმა იოტო იოტოვმა მოიპოვა — 345 კგ (155+190). ამ წონაში ფავორიტად ითვლებოდა სომეხი ისრაელ მილიტოსიანი, რომელმაც იგივე შედეგი აჩვენა, მაგრამ იმის გამო, რომ ბულგარელზე უფრო მძიმე იყო მეორე ადგილი დაისაკუთრა. მომდევნო წონაში (75 კგ) მსოფლიო ჩემპიონი გახდა კუბელი პაბლო ლარა — 355,0 (157,5+197,5).

● **რომი.** გრძელდება ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირების მატჩები. პირველ ჯგუფში მოასპარეზეთა მესამე წრის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი-ალბანეთი 3:0, ბულგარეთი-საფრანგეთი 3:1. მეორე ჯგუფში ჰოლანდიელებმა აჯობეს რუმინელებს — 3:0, ჩეხოსლოვაკიელებმა კი პოლონელებს — 3:2.

# მაიკ ტაისონი — სექსუალური ბულდოზერი

**სულ** მალე, შესაძლოა, ორ კვირაშიც კი, მსოფლიო ექსჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მაიკ ტაისონი წარდგება სასამართლოს წინაშე. მანამდე კი ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ უნდა ატაროს საკმაოდ უსიამოვნო და არაორაზროვანი მეტსახელი — სექსუალური ბულდოზერი, რომელიც, რა დასამალია, მას ალიზიანებს და ერთობ აგრესიულად განაწყობს. არა და, ტაისონს ბრალად ედება შავკანიან ლამაზმანთა კონკურსის თორმეტი მონაწილის გაუპატიურება, რომელთაგან ერთმა სასამართლოში შეიტანა საჩივარი.

მსოფლიო ექსჩემპიონი ცნობილია იმით, რომ არასდროს ყოფილა გულგრილი ქალების მიმართ, თუმცა, მის ბიოგრაფებს თუ დავუჯერებთ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, თავის მხრივ, არ წყალობდნენ მოკრივეს. ერთადერთი, რაც მათ ხიბლავდათ ტაისონში, მისი მილიონები იყო. სწორედ ამ გზით დაუკავშირდა ტაისონს მომავალი მეუღლე რობინ გივენსი, მაგრამ დიდხანს ვერ შეძლო მასთან ცხოვრება, სასიყვარულო ინტრიგა გააბა პროფესიული სპორტის მეორე, არანაკლებ პოპულარულ ვარსკვლავთან, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელთა კლუბის ლიდერთან ირვინ „მეჯიკ" ჯონსონთან. ამასთან დაკავშირებით ტაისონმა განაცხადა, რომ ცხვირ-პირს დაამტვრევდა „მეჯიკს", მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულა, ვინაიდან გივენსისა და ჯონსონის კავშირიც ერთობ ხანმოკლე გამოდგა.

რამდენიმე სიტყვა მაიკ ტაისონზე. მსოფლიო ჩემპიონი ყველაზე პრესტიჟულ წონაში იგი 21 წლისა გახდა. პროფესიული კრივის ისტორია არ იცნობს მეორე ასეთ ახალგაზრდა ჩემპიონს. რინგზე ტაისონს ტანკს ადარებენ, რომლის შეჩერება შეუძლებელია. მას აქვს საშინელი დარტყმის ძალა. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ყოველი ასეთი დარტყმა — 500-600 კილოგრამის ძალისაა.

პირველი ბრძოლა რინგზე 11 წლის ასაკში ჩაატარა. აქედან დაიწყო მისი ბრწყინვალე კარიერა, რომელშიც მხოლოდ ერთი შავი ლაქაა — შარშანდელი მარცხი დუგლასთან.

კრივმა ტაისონს მილიონები მოუტანა. მისი ჯერ მარტო შარშანდელი სარეკლამო შემოსავალი 12 მილიონ დოლარს აღემატება. სულ კი, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ტაისონს მიღებული აქვს 90 მილიონი დოლარი. ამ აზრს, სხვათა შორის, არ იზიარებს არტურ ანდერსონის საადვოკატო კანტორა — მან ამ დღეებში სასამართლოს წარუდგინა მოკრივის შემოსავლის ზუსტი ახალიზი, სადაც მხოლოდ 15 მილიონზეა ლაპარაკი.

ასეა თუ ისე, ტაისონი სპორტსმენთა შორის ერთ-ერთ უმდიდრეს კაცად ითვლება. ნაღდი მილიონების გარდა მას აქვს ორი სასახლე ოჰაიოსა და ნიუ-ჯერსიში, ბრწყინვალე ვილა ლას-ვეგასში. იგი ხშირად ყიდულობს ყველაზე ძვირფას ავტომანქანებს, ინახავს მწვრთნელთა, მასაჟისტთა, მდივნებისა და მოსამსახურეთა დიდ შტატს...

მაიკ ტაისონი თავს არ გრძნობს დამნაშავედ ამ ახალ ბრალდებაში და მშვიდად ელოდება სასამართლოს დაწყებას. ვინ იცის, იქნებ არც არის დამნაშავე და მართალია მოჰამედ ალი, რომელმაც განაცხადა: „არ არის გამორიცხული, რომ ჰოლიფილდის (მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონის) ბანაკს სურდეს 8 ნოემბრის მატჩის ჩაშლა. ასეთი ფსიქოლოგიური შეტევებისთვის მოწინააღმდეგეებს ჩემს წინააღმდეგაც ხშირად მიუმართავთ"...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრინცესა სარბენ ბილიკზე



ბოლო სამი წლის გრაფიკი აშკარად უარყოფითია: შარშანწინ პირველი ადგილი, შარშან — მეორე, წლეულს — მესამე. მაგრამ, საბოლოო ჯამში ამას არავინ აქცევს ყურადღებას. მთავარია: ჯერ ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობა, მერე, ტანსაცმლის ხარისხი და ფერები, ბოლოს კი ვინ ასპარეზობს...

უეზერბში (ინგლისი) არსებობს ერთი პრესტიჟული სკოლა-ინტერნატი, რომელშიც სხვა ბავშვებთან ერთად სწავლობს ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის პრინც ჩარლზის უმცროსი ვაჟი გარი. ინტერნატი ყოველ წელს აწყობს დედების შეჯიბრებას 80 მეტრზე რბენაში...

ამ ფოტოზე აღბეჭდილია პრინც ჩარლზის მეუღლე, მშვენიერი დიანა, რომელიც აეროდინამიკის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი მიემართება ფინიშისკენ. რა დასამალია და, უკეთესი შედეგის ჩვენებაში მას ხელი სწორედ ტანსაცმელმა შეუშალა.

# სპორტული ოქტომბერი

**3-6. კალათბურთი.** საქართველოს პირველობა 1974-75 წწ. დაბადებულთა შორის (ჭაბუკები). **თბილისი.**

**5-10. რაგბი.** საქართველოს პირველობა 1974-75 წწ. დაბადებულთა შორის. **ხაშური.**

**9-10. ჯიუ-ჯიცუ.** საკლასიფიკაციო გამოცდა-შეჯიბრება. **თბილისი.**

**10-13. სინქრონული ცურვა.** საქართველოს პირველობა 1977 წელს დაბადებულთა და უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. **თბილისი.**

**10-13. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1975-77 წწ. დაბადებულთა შორის. **ხენაკი.**

**10-15. საგზაოტკეცილო ველორბოლა.** საქართველოს ღია ჩემპიონატი. მრავალდღიანი რბოლა. **თბილისი.**

**12-13. რაგბი.** საქართველოს პირველობა 1975-76 წწ. დაბადებულთა შორის. **ქუთაისი.**

**15-18. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს გუნდური პირველობა. ფინალი. **მცხეთა.**

**21-26. თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

**23-27. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1969-71 წწ. დაბადებულთა შორის. **ხაშური.**

**26-30. კალათბურთი.** საქართველოს პირველობა 1974-75 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის. **თბილისი.**

**25-27. კალათბურთი.** საქართველოს 1991 წლის ჩემპიონატი. I ტური (ვაჟები). **თბილისი.**

**30.X-3.XI. სამბო.** საქართველოს პირველობა 1975-77 წწ. დაბადებულთა შორის. **ხაგარეჯო.**

# პირველიდან მეათემდე

**რიჩმონდი.** კრივის საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) შტაბბინამ გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს მძიმეწონოსანთა ათეული ამ ორგანიზაციის ვერსიით. აი ისიც:

1. ჯორჯ ფორმენი (აშშ)
2. პიერ კეტცერი (სამხრ. აფრ. კავშ.)
3. რიდიკ ბოუი (აშშ)
4. ლენოქს ლუისი (ინგლისი)
5. მაიკ ტაისონი (აშშ)
6. დონოვან რადოკი (კანადა)
7. ტიმ უიტერსპუნი (აშშ)
8. მაიკლ მურერი (აშშ)
9. ტონი ტაკერი (აშშ)
10. კარლ უილიამსი (აშშ)

ტრადიციულად, კლასიფიკაციაში არ არის შეყვანილი მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი.



ამ შოუ-ბიზნესის მონაწილენი შემოსავალზეც ფიქრობენ და ლამაზი გარეგნობის შენარჩუნებაზეც. ყველაზე უსიამოვნო, რაც მათ შეიძლება მოუვიდეთ... დროებით დაიზიანონ კოპწია ცხვირები. სამაგიეროდ მენეჯერები კარგი ჰონორარის გარანტიას იძლევიან.



იუმორი. უსიტყვოდ...

# რაგბი

## მსოფლიო თასის მეორე გათამაშება






### თამაშთა განრიგი

| თარიღი | დრო | ჯგუფი | ქალაქი | მონაწილეები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 X ხუთშაბათი | 18.00 | I | ლონდონი | ინგლისი | – | ახალი ზელანდია |
| 4 X პარასკევი | 17.00 | III | პლანეპლი | ავსტრალია | – | არგენტინა |
| | 22.00 | IV | ბეზიე | საფრანგეთი | – | რუმინეთი |
| 5 X შაბათი | 16.00 | I | ოთლი | იტალია | – | აშშ |
| | 18.00 | II | ედინბურგი | შოტლანდია | – | იაპონია |
| | 22.00 | IV | ბეიონი | ფიჯი | – | კანადა |
| 6 X კვირა | 16.00 | III | კარდიფი | უელსი | – | სამოა |
| | 18.00 | II | დუბლინი | ირლანდია | – | ზიმბაბვე |
| 8 X სამშაბათი | 16.00 | I | გლოსთერი | ახალი ზელანდია | – | აშშ |
| | 18.00 | I | ლონდონი | ინგლისი | – | იტალია |
| | 22.00 | IV | გრენობლი | საფრანგეთი | – | ფიჯი |
| 9 X ოთხშაბათი | 16.00 | III | კარდიფი | უელსი | – | არგენტინა |
| | 18.00 | II | ედინბურგი | შოტლანდია | – | ზიმბაბვე |
| | 21.00 | II | დუბლინი | ირლანდია | – | იაპონია |
| | 22.00 | IV | ტულუზი | კანადა | – | რუმინეთი |
| | 23.00 | III | ფონთიფული | ავსტრალია | – | სამოა |
| 11 X პარასკევი | 18.00 | I | ლონდონი | ინგლისი | – | აშშ |
| 12 X შაბათი | 16.00 | II | ედინბურგი | შოტლანდია | – | ირლანდია |
| | 18.00 | III | კარდიფი | უელსი | – | ავსტრალია |
| | 22.00 | IV | აჟონი | საფრანგეთი | – | კანადა |
| 13 X კვირა | 16.00 | I | ლესთერი | ახალი ზელანდია | – | იტალია |
| | 22.00 | IV | ბრივი | ფიჯი | – | რუმინეთი |
| 14 X ორშაბათი | 20.00 | II | ბელფასტი | ზიმბაბვე | – | იაპონია |
| | 22.00 | III | ფონთიფრიზი | არგენტინა | – | სამოა |
| 19 X შაბათი | 16.00 | 1/4 | ედინბურგი | II ჯგუფში პირველი | – | III ჯგუფში მეორე |
| | 16.45 | 1/4 | პარიზი | IV ჯგუფში პირველი | – | I ჯგუფში მეორე |
| 20 X კვირა | 16.00 | 1/4 | დუბლინი | III ჯგუფში პირველი | – | II ჯგუფში მეორე |
| | 16.45 | 1/4 | ლილი | I ჯგუფში პირველი | – | IV ჯგუფში მეორე |
| 26 X შაბათი | 17.30 | 1/2 | ედინბურგი | პარიზში მოგებული – ედინბურგში მოგებული | | |
| 27 X კვირა | 17.30 | 1/2 | დუბლინი | ლილში მოგებული – დუბლინში მოგებული | | |
| 30 X ოთხშაბათი | 17.30 | მც.ფ. | კარდიფი | თამაში მესამე ადგილისათვის | | |
| 2 XI შაბათი | 17.30 | ფინალი | ლონდონი | თამაში ჩემპიონობისათვის | | |

* დრო ყველგან თბილისისაა. თამაშები გადაიცემა „ასტრა" და „მარკო პოლო" სატელევიზიო თანამგზავრების მეშვეობით „სქაი-სფორთ", „იურო-სფორთ" და „სქრინ-სფორთ" პროგრამებით.

# იქნებ მესამეზე მაინც

რაგბი 1823 წელს გამოიგონეს. რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ), დღესდღეობით მთელს მსოფლიოში რომ განაგებს ამ სპორტს, 1886 წელს დაარსდა. აი, მსოფლიო თასის პირველი გათამაშება, ანუ ჩვენებურად პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, საერთაშორისო საბჭოს შექმნის საუკუნოვან წლისთავზეღა გაიმართა. უეჭველია, რომ ამ მხრივ მორაგბეებს „მსოფლიო რეკორდი" ეკუთვნით.

საკითხავია, მაინც რა იყო მიზეზი, სარაგბო სამყაროს დარაზმვას, ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონის გამოვლენას ასი წელი რომ დასჭირდა? რადა ის, რომ, ჯერერთი, რაგბს ძალიან დიდი ხნის მანძილზე ფრიად დონეზე ოდენ რვა ქვეყანაში თამაშობდნენ. მეორე ის, რომ ტრადიციის ერთგულ მსოფლიო რაგბის „მამებს" დიდხანს აშინებდათ მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის თვით იდეაც, რაკილა ეგონათ, რომ ამით რაგბის სამოყვარულო სულისკვეთება შესუსტდებოდა და სპონსორებისა და ფულის მოზიდვით თამაში გაპროფესიულდებოდა, დაეკარგებოდა ერთობ თვითმყოფადი იერი — კეთილშობილთა და ჯაკკაცთა სპორტი რაგინდარა ხერხით ჯილდოებისათვის ბრძოლად იქცეოდა.

მერე და მერე ცხოვრებამ თავისი გაიტანა. რაგბის სამყარო დარწმუნდა, რომ თამაშის სამოყვარულო ბუნების შესანარჩუნებლად საუკეთესო გზა ისევ და ისევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწესება ყოფილა. არც სპონსორთა ყურადღება და არც ზედმეტი ფული აღმოჩნდა საზიანო: ტრადიციულად არასარაგბო ქვეყნებში იმატა თამაშისადმი ინტერესმა, მსოფლიო თასის გათამაშების შემოსავლის ხარჯზე კი ირბ მსოფლიოში რაგბის გავრცელებისა და განვითარების პროგრამის ხორცშესხმას შეუდგა.

ეს ყველაფერი 1970-იანი წლების შუახანებში დაიწყო, ფრანგული რაგბის „ბერმუხა" ალბერ ფერასმა მსოფლიო თასის გათამაშების დაწესების წინადადება რომ წამოაყენა. ეს იდეა ერთი პირობა მიივიწყეს, მაგრამ ირბ-ა 1985 წლის გაზაფხულზე ბოლოსდაბოლოს დაადგინა, პირველი მსოფლიო პირველობა 1987 წელს რომ გაემართა ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში.

რაკილა საქმე ახალი იყო, ამასთან სარაგბო სამყაროში ძალთა მიახლოებითი თანაფარდობაც ყველამ კარგად უწყოდა, ამიტომ შეჯიბრების მომწყობნი იმდენად „გაკადნიერდნენ", რომ თასის პირველი გათამაშების 16-ვე მონაწილე თავად დაასახელეს. მერე მოხდა გაუგონარი ამბავი: ზანგების მოსარჩლე სსრ კავშირმა, რომელიც რაგბში დიდს ვერაფერს წარმოადგენდა, უმალ მოითხოვა, შეჯიბრების მონაწილეთა სიიდან ამოეღოთ „რასისტული" სამხრეთი აფრიკა, რომელიც რაგბისთვის იმავეს ნიშნავს, რასაც ბრაზილია ფეხბურთისთვის. ბატონკაცობას და სხვისთვის ჭკუის სწავლებას ნაჩვევმა საბჭოთა სპორტის მოხელეებმა ირბ-ს ულტიმატუმი წაუყენეს: „ან ჩვენ, ან რასისტებიო". საბჭოელთა ბედად მათს მოთხოვნას, ოღონდ ცოტა უფრო თავაზიანად, რუმინეთმა, არგენტინამ და, უთუოდ „ჩრათეთრი" მაორების ხათრით, ახალმა ზელანდიამაც აუბეს მხარი. ბოლოს საქმე ისე მოგვარდა, რომ სამხრეთმა აფრიკამ, რადგან ირბ-ელ პარტნიორებს წამოწყებაში ხელს უშლიდა, თავად თქვა უარი შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, საბჭოთა კავშირი კი, როგორც შარისთავი და სარაგბო არარაობა, თასის გათამაშებაში სამონაწილეოდ აღარ დაუპატიჟებიათ. სამხრეთი აფრიკის ადგილი ზიმბაბვეს ერგო, სსრკ-ის — წყნარი ოკეანის აუზის კუნძულოვან სახელმწიფო ტონგას.

თავად შეჯიბრებამ ერთი თვე გასტანა. პირველ ეტაპზე გუნდები ქვეჯგუფებად ასე იყვნენ განაწილებული: პირველში თამაშობდნენ ავსტრალია, ინგლისი, აშშ და იაპონია, მეორეში — უელსი, ირლანდია, კანადა და ტონგა, მესამეში — ახალი ზელანდია, არგენტინა, ფიჯი და იტალია, მეოთხეში — შოტლანდია, საფრანგეთი, რუმინეთი და ზიმბაბვე.

ქვეჯგუფებში მოულოდნელი ბევრი არაფერი მომხდარა. რჩეულებმა მეტწილად იოლად სძლიეს წინდაწინ მაჩანჩალებად მიჩნეულებს, თუმცაკი ბევრჯერ ფიცხელი ბრძოლაც გაჩაღდა. ასე მაგალითად, იაპონია ერთობ გაუძალიანდა ავსტრალიას, ტონგა — უელსს, კანადა — ირლანდიას, ფიჯი კი ჯგუფში მეორე ნომრად განთესილ არგენტინას არ შეეპუა დამოუგო. ამის შემდეგ არგენტინამ ძლივს აჯობა იტალიას, ეს უკანასკნელი კი თამაშის ბოლომდე ფიჯის ფეხზე უგებდა, რომ მეოთხედფინალში გადიოდა. მაგრამ აქ ოკეანელებმა იმარჯვეს, ერთი ლელოც გაიტანეს და თუმცა წააგეს, მეტი გატანილი ლელოს წყალობით გაასწრეს მეტოქეებს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ამ ეტაპზე ახალმა ზელანდიამ ძლივს გატეხა შოტლანდია, ავსტრალიამ იოლად სძლია ირლანდიას, უელსმა ერთობ უღიმღამოდ მოუგო ინგლისს, საფრანგეთ—ფიჯის თამაშში კი ეშხიანმა, მაგრამ თავქარიანმა ფიჯელებმა ერთხელ ისიც მოახერხეს, ფრანგების ლელოში შეტანილი ბურთი ტრიბუნებისკენ რომ მოესროლათ.

მერე იყო და ერთ ნახევარფინალში ახალმა ზელანდიამ უელსი გაანადგურა, ავსტრალია—საფრანგეთის თამაში კი ჩემპიონატის მშვენება გამოდგა: უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, წინ ხან ერთი გუნდი იყო, ხან — მეორე. ბოლოს, როცა თამაში თითქოს ფრედ მთავრდებოდა, ფრანგებმა არაფრიდან ლელო გამოაკვარახჭინეს და მთავარი ფავორიტი თასისთვის ბრძოლას გამოსთიშეს.

უილბლობით გულმოკლული ავსტრალიელები, წაქცეული მეტოქის დაწიხლვისათვის მოთამაშის გაძევების გამო თითქმის მთელი თამაში მეტოქეზე ნაკლები რომ იყვნენ, მაინც იგებდნენ მესამე ადგილისათვის გამართულ შეხვედრას, მაგრამ უელსმა ბოლო წუთზე ლელო გაიტანა და თამაში ერთი ქულით მოიგო. აი, ფინალში კი ახალმა ზელანდიამ ერთობ დამაჯერებლად მოუგო საფრანგეთს და რაგბის ლეგენდარული გამომგონებლის — ვილიამ ვებ ელისის სახელობის, ოქროცურვილი ვერცხლის თასის პირველი მფლობელი გახდა.

მას შემდეგ ოთხმა წელმა განვლო. წამოწყების წარმატებით შეგულიანებულმა ირბ-მა დაადგინა, თასის გათამაშება ტრადიციული გაეხადა და გაემართა ოთხ წელიწადში ერთხელ — მონაცვლეობით ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნახევარსფეროებში. დაწესდა შესარჩევი შეჯიბრებების გამართვაც. პირველი გათამაშების



ოქლენდი (ახალი ზელანდია). 20 VI 1987. ფინალის შემდეგ: ბატონი ჯონ ქენდოლ-ქართენთერი (ინგლისი), ახალზელანდიელთა კაპიტანი დევიდ ქირქი (თასით) და ბატონი ალბერ ფერასი.

მეოთხედფინალისტები მეორე გათამაშების დასკვნით ეტაპზე პირდაპირ დაუშვეს, შესარჩევ თამაშებში კი ოთხ გეოგრაფიულ ზონად დაყოფილი, ირბ-ის 29 მოკავშირე წევრი ქვეყნის გუნდი ჩაება. და მაინც ისე მოხდა, რომ სამხრეთი აფრიკა და სსრკ ამჯერადაც შეჯიბრების მიღმა დარჩნენ. სამხრეთაფრიკელთა იმედები კვლავ პოლიტიკამ დაასამარა, სსრკ კი დროზე არ შებრძანდა ირბ-ში — ისევ და ისევ იქ რასისტების „პარპაშის" მომიზეზებით. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში ეროვნულმა მოძრაობამ მას შემდეგლა იმძლა, რაც მეორე მსოფლიო ჩემპიონატის განრიგი კარგა ხნის შედგენილი იყო.

ახლა ქართული რაგბი მესამე ჩემპიონატის იმედადაა, 1995 წელს რომ უნდა გაიმართოს. საფიქრებელია, რომ ამ დროისთვის როგორც ჩვენ, ასევე სამხრეთაფრიკას პოლიტიკური პრობლემები მოგვარებული გვექნება. თუ ასე მოხდა, უეჭველია, რომ ირბ ამ ჩემპიონატს გამოსწორებულ „რასისტებს" ჩაატარებინებს. ჩვენც იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ საქართველოს გუნდი შესარჩევ შეჯიბრებას წარმატებით გაივლის და სათამაშოდ სამხრეთ აფრიკაში ჩავა.

აქვს თუ არა საფუძველი ჩვენს ამგვარ ოპტიმიზმს? უთუოდ, რაკილა ირბ-ში შესასვლელად ორი წლის წინ წამოწყებული ლაშქრობა გრძელდება. აი, ახლაც, საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენელი დავით კილასონია ირბ-ის მიწვევით მსოფლიო თასზე მიემგზავრება, იქვე დანიშნულ ირბ-ის სხდომას რომ დაესწროს და ქართული რაგბის საერთაშორისო აღიარებას ხიტყვა შეაწიოს.

**ზაზა ფხაკაძე**



### მადრასში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის

# მაია ჩიბურდანიძე — სიე ჟუნი



### ანგარიში გათანაბრდა

**პირველ** ორ პარტიაში მეტოქეთა დაზავების მერე, ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ორშაბათს გათამაშდა მესამე პარტია, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონმა შავი ფიგურებით უხეში შეცდომა დაუშვა — ცენტრში უხეიროდ გაცვალა პაიკები. სიე ჟუნი დაეუფლა სათამაშო ინიციატივას და 28-ე სვლაზე ჩიბურდანიძემ პრეტენდენტს მოგება მიულოცა. ანგარიში გახდა 2:1 ჩინელი სტუდენტის სასარგებლოდ.

ჭადრაკის მოყვარულებს ვთავაზობთ მესამე პარტიის ჩანაწერს. მისი გარჩევისას დაინტერესებულნი მიხვდებიან, სად დაუშვა შეცდომა ჩიბურდანიძემ. (იხ. ნოტაცია).

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0–0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0–0 9. h3 მa5 10. კc2 c5 11. d4 კb7 12. მbd2 cd 13. cd ed 14. მ:d4 ეe8 15. b4 მc6 16. მ:c6 კ:c6 17. კb2 კf8 18. ლf3 ეc8 19. კb3 ლe7 20. ეad1 კb7 21. ლf5 d5 22. e5 მd7 23. მe4 g6 24. ლ:d7 de 25. e6 fe 26. ლd4 მფf7 27. ლh8 ლh4 28. g3

**გუშინ** გაიმართა მატჩის მეოთხე პარტია, ამჯერად თეთრი ფიგურებით თამაშობდა ჩიბურდანიძე. იგი შეეცადა დანაკარგის ანაზღაურებას. სიე ჟუნი კი ფრთხილად, დაკვირვებით აკეთებდა ყველა სვლას, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა: ჩიბურდანიძემ მეთოდური თამაშით მოიპოვა უპირატესობა და მეტოქე აიძულა 56-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ეცნო. ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარია — 2:2.

მატჩის მორიგი, მეხუთე პარტია, რომელშიც თეთრი ფიგურებით ითამაშებს ჩინელი დიდოსტატი, რეგლამენტით ხვალ, 4 ოქტომბერს, უნდა გაიმართოს.

### ევროპულ თასებზე

**გასულ** სამშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა (მეთექვსმეტედფინალი) და უეფა-ს თასის (ოცდამეთორმეტედფინალი) მეორე წრის საპასუხო შეხვედრები.

თასების მფლობელთა თასზე საფრანგეთის „მონაკომ" შინ ანგარიშით 8:0 დაამარცხა უელსის „სუონსი". „მონაკოს" პირველი მატჩიც მოგებული ჰქონდა (2:1) და ორი შეხვედრის ჯამში გავიდა მერვედფინალში. კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწია გერმანიის ქალაქ ბრემენის „ვერდერმა", რომელმაც შინ მოუგო რუმინეთის „ბაკეუს" — 5:0 და ორი შეხვედრის ჯამში საერთო ანგარიშით 11:0 გავიდა მერვედფინალში.

უეფა-ს თასზე მოსკოვის ტორპედოელებმა უმასპინძლეს გერმანიის ქალაქ ჰალეს „ჰალეშერს". პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ (1:2) მოსკოველებმა ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს და გავიდნენ მეთექვსმეტედფინალში.

ამავე დღეს გაიმართა სხვა გუნდების შეხვედრებიც: „ეკერენი" (ბელგია) — „სელტიკი" (შოტლანდია) 1:1 (პირველი თამაში 0:2), „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „სლოვანი" (ჩეხეთ-სლოვაკეთი) 1:1 (2:1), „სტიაუა" (რუმინეთი) — „ანართოსისი" (კვიპროსი) 2:2 (2:1), „ფლორიანა" (მალტა) — „ქსამაქსი" (შვეიცარია) 0:0 (0:2), „ბაიერნი" (გერმანია) — „კორკ სიტი" (ირლანდია) 2:0 (1:1), „სპორა" (ლუქსემბურგი) — „აინტრახტი" (გერმანია) 0:5 (1:6).

ამრიგად, მეთექვსმეტედფინალში გავიდნენ „სელტიკი", „რეალი", „სტიაუა", „ქსამაქსი", „ბაიერნი", „აინტრახტი".

### ოთარ აფაქიძე

სპორტის სტაჟიანი გულშემატკივრებისთვის ოთარ აფაქიძის გარდაცვალება თავზარდამცემია. კალათბურთის ვარსკვლავი არასდ[...] რომ ყოფილა, თუმცა სპორტ[...] მოყვარულებს თავი სწორედ კალათბურთით გააცნო და შეაყვარ[...] სამაგიეროდ, ბრწყინვალე პიროვ[...]ნება იყო, გულისხმიერი მეგობა[...]რი, აქტიური მოქალაქე და კარ[...]გი სპეციალისტი, ისეთი, რომელ[...]საც საქმისთვის მხოლოდ სარგებ[...]ლობა მოჰქონდა.

ოთარ აფაქიძემ კალათბურთი[...] თამაში თამარ გეგელაშვილთან [...] ხაშა ელენსკისთან დაიწყო. თბი[...]ლისის პირველ სკოლას საერთო[...] ტანვარჯიშული პროფილი ჰქონდ[ა], მაგრამ ოთარისა და მისი თანაკლა[...]სელების მეცადინეობით კალათბ[...]ურთიც პოპულარული სახეობა გა[...]ხდა. ვახტანგ ანანიაშვილი, გ[...] ხუხაძე, თენგიზ ჯანელიძე, ოთა[რ] აფაქიძე, სხვები და სხვები. სწორ[ედ] ის ენთუზიასტები იყვნენ, რომ[...]ლებმაც სასკოლო კალათბურთო ჯ[...] რაიონის მასშტაბით, მერე კი სა[...] ქალაქო და რესპუბლიკურ სარ[...]ბიელზე გაიტანეს. ასე რომ, 1948 წელს საქართველოს მოსწავლეთ[ა] ნაკრების გამარჯვებას საკავშირო[...] პირველობაში ლოგიკური გზა[...] ჰქონდა და სულისჩამდგმელიც მრა[...]ვლად ჰყოლია, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ოთარ აფაქიძე გახ[...]ლდათ გუნდის ცენტრალური ფი[...]გურა და კაპიტანი.

ოთარ აფაქიძე იყო კალათბურთის აქტიური პოპულარიზატორი[...] ესმოდა კალათბურთი და იცოდ[ა] კიდეც ამ ცოდნის გაზიარება. უნივერსიტეტში სწავლის დროს თამაშობდა და მსაჯობდა. განსაკუთრებით პრინციპულ მატჩებს სწორედ ისეთ კაცს ანდობდნენ, როგორიც ოთარ აფაქიძე იყო, ობიექტურს, პირდაპირს, მოუსყიდველს.

გეოლოგები ამბობენ, კარგ[ი] სპეციალისტი დავკარგეთო. ასევ[ე] ფიქრობენ კალათბურთელებიც. მა[...]თთვის ოთარ აფაქიძე გუშინდელი[...] დღის ლამაზი მოგონებაა.

**საქართველოს სპორტსმენთა[...] კავშირი**

# ერთხელ კიდევ ზაარბრუკენში

**გერმანიაში** ზაარის მხარის ნაკრებ გუნდთან ამ მხარის ჩოგბურთის ფედერაციის მიწვევით სამი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ნაკრები გუნდის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მაია აბაშიძე, ლია ტამიროვა, ანატოლი აბალაძე, ირაკლი სვანიძე და ლევან გელაშვილი (მწვრთნელი ლალი ზეიელიძე). პირველ მატჩში, რომლის დროს ხუთი ერთეულთა, ვაჟთა და ქალთა წყვილების შეხვედრები მოეწყო, მასპინძლებმა მიაღწიეს წარმატებას ანგარიშით 4:3. სხვა ორ გუნდურ შეჯიბრებაში კი უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო და საბოლოოდ შინ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ საერთო ანგარიშით 2:1.

ერთეულთა თანრიგში ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს სვანიძემ, აბაშიძემ, ტამიროვამ და გელაშვილმა. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა გოგონათა წყვილმა — მან სამივე მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

სტუმრებს ქალაქ ზაარბრუკენის მმართველობაში გულთბილი მიღება გაუმართა ამ მხარის განათლებისა და სპორტის მინისტრმა ქალბატონმა მარია კრანცმა.

გერმანელი სპორტსმენები ზაარბრუკენიდან საპასუხო ვიზიტად საქართველოს ესტუმრებიან გაისად, აპრილში.



● საქართველოს ჩემპიონატი
● I ჯგუფი

# ნაღდ ბრძოლაში

**თბილისი. აგრარული უნივერსიტეტის სტადიონი. 30 სექტემბერი.**

**„შევარდენი" (თბილისი) — „აია" (ქუთაისი) 6:17 (0:10).**

**„შევარდენი": ნ. იურინი, სორდია, კვარაცხელია (სულხანიშვილი, 42), ძნელაძე, ჩაჩანიძე, კვაჭანტირაძე, ჯანელიძე, ჩიქავა, კალაძე, მეჭურჭლიშვილი (ახვლედიანი 42), კაპანაძე, პარწიკანაშვილი (ქურციკიძე, 54), მჭედლიშვილი, ზოიძე, ნ. მგელაძე.**

**„აია": ე. ძაგნიძე, კ. გაბრიჩიძე, გეგუჩაძე, ტყაბლაძე, ხამაშურიძე, მაჩიტიძე, იობიძე, ხახალეიშვილი, ფირცხალავა, ბაბუნაშვილი, ბ. შვანგირაძე, ოდიშარია (გეგელია, 54), გიორგობიანი, ჰიქაბერიძე (ცორეოლიანი, 41); ფხაკაძე.**

**მსაჯი ზურაბ რეხვიაშვილი (თბილისი).**

**ბურთები: „შევარდენი" — 2 საჯარიმო (45, ძნელაძე, 68, კვაჭანტირაძე), „აია" — 3 ლელო (9, გეგუჩაძე, 31, იობიძე, 66, გაბრიჩიძე), გარდასახვა (31) და საჯარიმო (78): მაჩიტიძე.**

როგორც იქნა, ვეღირსეთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ძველ მეტოქეთა ამ წყვილის თამაშმა ნაღდ ბრძოლაში ჩაიარა. საქმე ისაა, რომ აქამდე თბილისელები ან სათამაშოდ არ ცხადდებოდნენ, ან რიცხვნაკლული გუნდი გამოჰყავდათ და მეტოქეს, ფაქტობრივად, ნებდებოდნენ. ორჯერ ისეც მოხდა, რომ თამაში ნაადრევად დამთავრდა — 80-ის ნაცვლად მხოლოდ 60 და 15 (!) წუთს გაგრძელდა.

ამჯერად სულ სხვა იყო. მასპინძელთა რიგებში მწვრთნელების — სანებლიძისა და კაპანაძის მეცადინეობით შევარდენელთა ორ თობას მოუყრია თავი და წინა ორ ჩემპიონატში თამაშით ფრიად გავაჟკაცებულა, „აიას" „ხანდაზმული" მოთამაშეები კი ჩოხატაურის „ჯანში" ერთიანად გადაბარგებულან. მას შემდეგ, რაც საზაფხულო არდადეგების დროს ვეტერანების გზას ქუთაითურთა და ეროვნული ნაკრების ორი ლიდერიც — ტურძელაძე (№2) და ნ. ძაგნიძე (№10) შესდგომიან, საქართველოს ჩემპიონს მწვრთნელ ვ. შვანგირაძის ხელმძღვანელობით მთლად გამოუცვლია სათამაშო სტილი.

სადღა იყო აიელთა ზე-პრაგმატული თამაში, ბურთისთვის დაუსრულებელი ჯაჯგური, ნ. ძაგნიძის მიერ შესრულებული ხშირი ტაქტიკური დარტყმები ან მსაჯის ყოველი სასტვენის შემდეგ სულის მოსათქმელად დროის გაყვანა? წასულთა ნაცვლად გუნდს ახალი ლიდერები გასჩენია: კაპიტანი გეგუჩაძე, მორკინალები ფირცხალავა და ფხაკაძე. მათ ხელში „აია" ტექნიკურად, გონივრულად და, რაც მთავარია, სანახაობრივად მიმზიდველად თამაშობს. ამასთან, გუნდს შეუნარჩუნებია როგორც მორკინალთა ტრადიციული სიმძლავრე და გაწაფულობა, ასევე სათამაშო დისციპლინა და მეტოქის შეცდომების ხელიდან არგაშვების უნარი.

რა დაუპირისპირა „შევარდენმა" „აიას" კოზირებს? რა და დერეფანში კარგი თამაში, თავდადება და ბურთის ხელით გათამაშება. თბილისელთა მორკინალებმა მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს, ნ. მგელაძემ და კალაძემ კი რამდენჯერმე ერთობ მოხდენილად „წაიბურთავეს". უკანა ხაზში ჯანელიძემ, ძნელაძემ და ნ. იურინმა გამოიჩინეს თავი. მაგრამ დახეთ უბედურებას: მოდებაძე დისკვალიფიცირებულია, „შევარდენის" სხვა დამრტყმელებს კი კრიტიკულ მომენტებში საჯარიმოები გაუცუდდათ. გარდა ამისა, „აიამ" გამოუყენებელი არ დატოვა თბილისელთა არცერთი უზუსტობა: ჯერ თბილისელები შერკინებაში თამაშგარე დარჩნენ, გაბრიჩიძე ფიცხელ ჩაემატა მარაოს და გეგუჩაძეს ლელო გაატანინა, მერე იყო და მასპინძლებმა ხეირიანად ვერ დაიჭირეს მაჩიტიძის აბრაგანი, ბურთი იობიძემ იგდო ხელთ და ეშხიანი ფანდით ყველას გაექცა, ბოლოს კი „შევარდენმა" უდროოდ შეუტია, ბურთიც დაკარგა, მასთან პირველი ფირცხალავა გაჩნდა და გაბრიჩიძე ბურთიანად ლელოსკენ გაგზავნა.

**1 ოქტომბერს, აგრარული უნივერსიტეტის სტადიონზევე, თბილისის „ვეხტამ" მოუგო ქუთაისის „ველათს" — 36:8.**

**ზაალ გიგინეიშვილი**

**საქართველოს რესპუბლიკის სპორტული თამაშები**
**თბილისის რეგიონალური შეჯიბრებები**

**აკრობატიკა.** 4-6.X. „მართვეს" კომპლექსი. დასაწყისი 15 სთ.
**სატრეკო ველორბოლა.** 3-4.X. ცენტრალური ველოდრომი. 11 სთ.

**ქართული ჭიდაობა.** 3.X. „ლოკომოტივის" დარბაზი. 12 სთ.
**ხელბურთი** (ვაჟები). 3-4.X. გლდანის ხელბურთის დარბაზი. 15 სთ.

### I ლიგა

სოხუმის დინამოელებმა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში 1 ოქტომბერს შინ მიიღ[...] რიგის „პარდაუგავა" და გაიმარჯვ[...] ანგარიშით 3:0.

### ინფორმაცია

● **კაირო.** დამთავრდა სრულიად აფრიკის სპორტული თამაშები. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს ეგვიპტის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ხვდათ 160 სხვადასხვა ღირსებ[ის] მედალი, მათ შორის 80-ზე მეტ[ი] ოქროსი. მომდევნო ადგილებზე გა[...]ვიდნენ ნიგერიის (35 — ოქრო, 4[...] — ვერცხლი, 35 — ბრინჯაო), ალჟირ[ის] (29, 33, 29), კენიის, ზიმბაბვესა და ტუნისის წარმომადგენლები.

# „რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ..."

**გიორგი** კიკალეიშვილს რესპუბლიკის საჩოგბურთო წრეებში სამართლიანად იცნობენ როგორც ნიჭიერ სპორტსმენს. ახალგაზრდა ჩოგბურთელმა ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა ბალტიისპირეთის ქალაქებში გამართულ საჩოგბურთო ტურნირებში.

კლუბ „რაშის" აღსაზრდელმა, რომელსაც რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გურამ თოხაძე „მეურვეობს", ჯერ კაუნასში იასპარეზა შესანიშნავად — თანმიმდევრულად დაამარცხა უძლიერესი მეტოქენი და ფინალში სძლია ცნობილ ახალგაზრდა ლიტველ ოსტატს შტრაქსასს — 6:4; 6:3, შემდეგ კი ტალინში გადაინაცვლა და აქაც უძლიერესი აღმოჩნდა — ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა მასპინძელთა გუნდის ლიდერი ჰინტი იმავე ანგარიშით — 6:4, 6:3.

გიორგის მხოლოდ ერთ ტურნირში — რომელსაც ასევე ტალინმა უმასპინძლა — მოეცარა ხელი, თუმცა უძლიერეს ჩოგბურთელებთან ჰიდილში დაკავებული მეოთხე ადგილიც არ გახლავთ ურიგო შედეგი. ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელიცაა, ყველა ტურნირში გაიმარჯვოს ჯერაც მზარდმა და ახალგაზრდა ოსტატმა.

ძალზე ნიჭიერი ჩოგბურთელია, ცოტა ფიზიკური მომზადება აკლია. მჯერა, გიორგი ამ ნაკლს მალე გამოასწორებს და კიდევ ერთი ძლიერი ჩოგბურთელი გვეყოლება. გიორგის დღევანდელი სპორტული შედეგები და მონდომება ამის თქმის უფლებას გვაძლევს, — გვითხრა ბატონმა გურამ თოხაძემ.

რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ კაცს, რომელმაც ლელა მესხის ტალანტი აღმოაჩინა!

**ლევან ლეონიძე**

### „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 38-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.257.266 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (50) მოგება 628 მანეთია, თორმეტისთვის (1.207) — 52, თერთმეტისთვის (14.456) — 15.

საქართველოში: დაშვებულია 40.863 ვარიანტი. 13-1 (თბილისი), 12-22, 11-406.

38-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 12 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 5 ოქტომბერს.

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" რედაქცია განუხრელად ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრესის კანონით.
„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. სარალიძე, კორექტორები: მ. ძამიძე, ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-53
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო," სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სიმშარაულის, 20.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.